21/05/2026

MES 6 26 0000603707

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19.05.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:07
სხდომის დასრულების დრო: 18:40
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (VII საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე**- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. **ქეთევან აფთარაშვილი**- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
4. **ვაჟა კელიხაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ქეთევან ნანობაშვილი**- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
7. **დავით კაპანაძე**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
8. **მზია წიკლაური**- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
10. **ირინა ლობჟანიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
11. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
12. **თეა ჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
13. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
14. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისიტი;
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპსბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

1. ცოტნე ჟღენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის "ბიზნესის ადმინისტრირება" ხელმძღვანელი;
2. ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
3. თამარ ტუფინაშვილი - აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი;
4. თამარ გვიანიშვილი ბტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპსდავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
1. დავით ბოსტოღანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ლევან ჭოლიკიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
1. გია იაშვილი დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;
2. ნინო მგალობლიშვილი - დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. აკაკი ინანიშვილი - ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

1. ლიანა ხორბალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. მარინა ქავთარაძე - მუსიკოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. ზურა ნადარეიშვილი - კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მაკა (მაია) ვირსალაძე - კომპოზიციის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1. თეა კორძაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. თენგიზ კუპრაშვილი - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ნანა შონია - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ალექსანდრე სიჭინავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
3. ეკატერინე შაკიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. მეუფე ანანია ჯაფარიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. ლევან მათეშვილი - „თეოლოგია საქართველოს ეკლესიის ისტორიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს - ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი
1. გიორგი გაბედავა - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
2. ელიტა ხვედელიძე - რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით;
3. ლალი ხვედელიძე - კანცლერი.

აკრედიტაციის ექსპერტები

შტეფან ვეიტი (Stefan Veith) (I საკითხი)
ვასილ კიკუტაძე (I საკითხი)
მედეა ჯანჯღავა (I საკითხი)
გიორგი მხეიძე (I საკითხი)
სეიფედინ კადრი - Seifedine Kadry (II საკითხი)
ლია კურტანიძე (II საკითხი)
ილია ბოცვაძე (II საკითხი)
ლეილა გრიგოლია (III, IV საკითხები)
თამთა ლეკიშვილი (III, IV საკითხები)
ნინო ღაჭავა (III, IV საკითხები)
თამთა თურმანიძე (V, VI საკითხები)
თინათინ ზერაგია (VII საკითხი)
ცოტნე ჩხეიძე (VIII საკითხი)
ნინო გორგოშაძე (IX, X საკითხები)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

1. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის “კომპოზიციის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის “მუსიკოლოგიური კვლევების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
9. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შუამდგომლობა. ცენტრში შემოვიდა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წერილი, რომელიც ეხებოდა სახელწოდების ცვლილებას.
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი 2011 წლიდან ახორციელებს „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამას. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2026 წლის 11 მაისს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამის სახელწოდებად განისაზღვრა „ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი (AI)”. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება განპირობებული იქნა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებით, შრომის ბაზრის მოთხოვნებითა და დარგის განვითარების მიმართულებებით.
დაწესებულების განმარტებით, პროგრამის განახლებული სახელწოდება უფრო ზუსტად ასახავდა პროგრამის შინაარსს, მის პრაქტიკულ და ტექნოლოგიურ ორიენტაციას, ასევე სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ თანამედროვე კომპონენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ციფრულ ტექნოლოგიებთან, პროგრამირებასთან, მონაცემთა დამუშავებასთან, ხელოვნური ინტელექტის საფუძვლებთან და შესაბამის ტექნოლოგიურ მიმართულებებთან.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის “კომპოზიციის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის “მუსიკოლოგიური კვლევების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
9. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
11. "შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის #1755828 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური: ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა: ინგლისური
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა სტეფან ვეიტმა და ექსპერტთა ჯგუფმა შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინეს ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნასთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის წერილში მიუთითა, რომ ვინაიდან რეკომენდაციები არ გაცემულა ექსპერტთა მიერ, მათი მხრიდან პოზიციის წარმოდგენის საჭიროება არ ყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს კითხვები არ ჰქონია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:16
დასრულების დრო: 14:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისათვის კლასტერის ვადით (2032 წლის 01 მარტამდე) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

მეორე საკითხი: შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები
2. საფეხური: ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა: ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს კოდი: 0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინეს ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ნანობაშვილმა ექსპერტებს კითხვით მიმართა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2024 წლის დეკემბერში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შემდეგ უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამის განახლებული ვერსია, რომელიც ეფუძნება აღნიშნულ დარგობრივ მახასიათებელს და ა.შ. მას აინტერესებდა, თვლიდნენ თუ არა ექსპერტები, რომ 2024 წლის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსებს უნდა დაემატოს შემდეგი საგნები: „ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები“, „ეთიკა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“, „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“. ამასთანავე, წინაპირობებთან დაკავშირებითაც ჰქონდა შეკითხვები ექსპერტებთან. ოპერაციული სისტემები და კომპიუტერული არქიტექტურა ისწავლება ერთ სემესტრში. მისი მოსაზრებით, კომპიუტერული არქიტექტურა ოპერაციული სისტემების წინაპირობა უნდა იყოს. ასევე, კომპიუტერულ ქსელებს წინაპირობად აქვს ICT ტექნოლოგიები; მას აინტერესებდა, ექსპერტების აზრით, კომპიუტერული ქსელების წინაპირობად უნდა განისაზღვროს თუ არა კოდირებული კომპიუტერული არქიტექტურა. ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ შესაძლებელია აღნიშნული საგნების ერთ სემესტრში სწავლება.

საბჭოს წევრ, ქეთევან ნანობაშვილს აინტერესებდა, ექსპერტებმა შენიშნეს თუ არა პროგრამაში მოძველებული სისტემების არსებობა. კერძოდ, პროგრამირებაში განხილულია GQR, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მიერ უკვე აღარ გამოიყენება. ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ შეფასების პროცესში შეუსაბამობა არ დაფიქსირდა და კურიკულუმთან მიმართებით შესაბამისობა შენარჩუნებულია. ამასთან, მისი თქმით, ყველა ცვლილების დაუყოვნებლივ შეტანა აუცილებელი არ არის.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით კვლავ მიმართა ექსპერტებს კითხვით. მან აღნიშნა, რომ არ ჩანს, რომელ შედეგს რომელ მიზანთან აქვს კავშირი, რაზეც რეკომენდაციაც გაიცა, თუმცა ექსპერტებს რუბრიკებზე აქცენტი არ გაუკეთებიათ. მას აინტერესებდა, როგორ ხდებოდა სწავლის შედეგების შეფასება. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების სისტემები. რეკომენდაციაში საუბარი იყო მკაფიო გეგმისა და მექანიზმის წარმოდგენაზე, რის გამოც უფრო მეტად სტანდარტი შეფასდა. მისი თქმით, თუ საჭირო იქნება დამატებითი რეკომენდაციები დახვეწის მიმართულებით, დაწესებულება მზად არის, გაითვალისწინოს. დაწესებულების მიზანია, მიიღოს კიდევ უფრო მაღალი ხარისხის შედეგი როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ისე კურსდამთავრებულთა თვალსაზრისით.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ კვალიფიციური პერსონალის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რას გეგმავს დაწესებულება ამ მიმართულებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შეფასებით, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია. პროგრამაში ჩართულია 30 პროფესორი, მათ შორის 21 აკადემიური. ამჟამად პროგრამას შეზღუდული აქვს სტუდენტთა მიღება, შესაბამისად, არსებული პერსონალი სრულად აკმაყოფილებს მიმდინარე საჭიროებებს. მომავალში კი მოთხოვნისა და საჭიროებების შესაბამისად პერსონალის რაოდენობა გაიზრდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:44
დასრულების დრო: 15:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით (2032 წლის 31 დეკემბრამდე) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

1.3-ში კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია, შემუშავდეს არაპირდაპირი შეფასების განხორციელების მკაფიო გეგმა და მექანიზმი. სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასებისთვის პროგრამაში განსაზღვრულია 7 კურსი, თუმცა არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რომელი შედეგი რომელი კურსის ფარგლებში შეფასდება. რეკომენდებულია, აღნიშნულის დაკონკრეტება.“
საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება 1.3 ქვეკომპონენტში რეკომენდაცია დაკორექტირდეს შემდეგი სახით: „რეკომენდებულია, შემუშავდეს არაპირდაპირი შეფასების განხორციელების მკაფიო გეგმა და მექანიზმი. სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასებისთვის პროგრამაში განსაზღვრულია 7 კურსი, თუმცა არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რომელი შედეგი რომელი კურსის ფარგლებში და რომელი რუბრიკით შეფასდება. რეკომენდებულია, აღნიშნულის დაკონკრეტება“.

1.4-ში კომპონენტს დაემატოს შემდეგი რეკომენდაციები:
1) რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები“ გადავიდეს არჩევითი ბლოკიდან სავალდებულოში და სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს „ეთიკა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“, აგრეთვე დაემატოს „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის“ საგანი/საკითხები.
2) რეკომენდებულია დაზუსტდეს წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებისთვის: -„ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ - წინაპირობებად განესაზღვროს „პროგრამირების საფუძვლები“, ხოლო „კომპიუტერული ქსელებს“ და „ოპერაციული სისტემებს“ წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.
აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 1.4 ქვეკომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

მესამე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მხატვრული კერამიკა
2. საფეხური: ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა: ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში
5. დეტალური სფეროს კოდი: 0214 - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა)

მეოთხე საკითხი:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მხატვრული კერამიკა
2. საფეხური: მაგისტრატურა
3. სწავლების ენა: ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში
5. დეტალური სფეროს კოდი: 0214 - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლეილა გრიგოლაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომედანციები გაცემულია სტუდენტების მოსახურების კომპონენტში. სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილია 3 რეკომენდაცია, ხოლო ბაკალავრის პროგრამაზე - 2. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ელექტრონულ ფოსტას. რასთან დაკავშირებითაც სტუდენტების მხრიდან სესიებზე გამოითქვა, რომ ინფორმაციას არ ფლობდნენ, ან არ ჰქონდათ. ამიტომ რეკომენდაცია დარჩა ძალაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა რატომ გახდა პრობლემა კორპორატიული ელექტრონული მეილების შექმნა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც სტუდენტი უსდ-ში მოდის პირველივე შეხვედრაზე, მას უზიარებენ სრულ ინფორმაციას, რაც ოფიციალურ საკონტაქტო წყაროებს შეეხება და მათ შორის მიეწოდება პირადი მეილები, თუმცა როგორც ჩანს სტუდენტების პასუხი სესიებზე გაურკვეველი იყო და ამიტომ გაიცა რეკომენდაცია ამ საკითხზე. დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ ონალინაც, თუმცა აღნიშნული შენიშვნა უკვე დაფიქსირდა უნივერსიტეტში, რომელზეც უკვე რეაგირება არის დაწყებული.
ექსპერტმა, ნინო ღაჭავამ აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა მობილობით გადმოსულ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ არ ჰქონდათ საუნივერსიტეტო ელფოსტა. მათ საბჭომდე უკვე უზრუნველყვეს რეკომენდაციის გათვალისწინება და საუნივერსიტეტო ელფოსტების მიწოდება ყველა სტუდენტისთვის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს იმ მოცემულობით, რაც ვიზიტის დროს ხვდება დაწესებულებაში. აქედან გამომდინარე, ეს რეკომენდაცია უცვლელი დარჩა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:55

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს წარმოება.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

3.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები:
1) რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით.
2) რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით:
1) სასურველია, აკადემიამ გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით.
2) სასურველია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.

აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 3.1 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს წარმოება.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

3.1-ში კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები:
1) რეკომენდებულია, აკადემიამ გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით.
2) რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.
3) რეკომენდებულია, აკადემიამ აამაღლოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ცნობიერება სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ.

გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით:
1) სასურველია, აკადემიამ გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებით.

2) სასურველია, რომ უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს კორპორატიული (საუნივერსიტეტო) ელექტრონული ფოსტის შექმნა და მისი გამოყენება ოფიციალური კომუნიკაციისთვის. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის მიწოდების უსაფრთხოებასა და ეფექტიანობას.
3) სასურველია, აკადემიამ აამაღლოს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ცნობიერება სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ.
აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 3.1 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

მეხუთე საკითხი: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპოზიცია**
2. **საფეხური: დოქტორანტურა**
3. **სწავლების ენა: ქართული**
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კომპოზიციის დოქტორი
5. **დეტალური სფეროს კოდი: 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება**

მეექვსე საკითხი:
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მუსიკოლოგიური კვლევები**
2. **საფეხური: დოქტორანტურა**
3. **სწავლების ენა: ქართული**
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მუსიკოლოგიის დოქტორი**
5. **დეტალური სფეროს კოდი:** 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, თამთა თურმანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამებმა აკრედიტაცია გაიარეს 2024 წელს, ორივეს მინიჭებული აქვს აკრედიტაცია 7 წლის ვადით ერთ წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. სულ იყო გაცემული 5 რეკომენდაცია, რომელთაგან ყველა ეხებოდა პირველ სტანდარტს. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ეს რეკომენდაციები და ამ დროის განმავლობაში იმუშავა მათ გამოსასწორებლად. ამიტომაც, ექსპერტის დასკვნა არის დადებითი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტს გაწეული შრომისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:58
დასრულების დრო: 14:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება**
2. **საფეხური: დოქტორანტურა**
3. **სწავლების ენა: ქართული**
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი**
5. **დეტალური სფეროს კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეშვედე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თინათინ ზერაგიამ აღნიშნა, რომ კლასტერთან დაკავშირებული რეკომენდაციები სრულად შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან. ერთადერთი შენიშვნა რაც დარჩა არის ის, რომ მემორანდუმები განახლებული სახით არ იყო წარმოდგენილი, არამედ ახალი მემორანდუმები ჰქონდა უნივერსიტეტს წარდგენილი. რაც შეეხება პროგრამის რეკომენდაციებს, გაცემული იყო მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც დაკავშირებული იყო კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ერთ მიზანთან, რომ მომხდარიყო ამ მიზნის ფორმულირება იმ კუთხით, რომ მეტად წარმოჩენილიყო სამეცნიერო დარგში ჩართულობის მაღალი ხარისხი, რასაც აღწევს დოქტორანტი დასრულების შემდეგ. ეს მიზანიც გადამუშავდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, კერძოდ, ხელი შეუწყოს საერთაშორისო, აკადემიურ და პროფესიულ ქსელებში ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერს,

ამასთან მდგრადი ბიზნესმოდელების განვითარებას. ექსპერტის აზრით, სწორედ ეს წარმოადგენს აკადემიური მიმართულებით მაღალჩართულობის ხარისხს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:04
დასრულების დრო: 16:06

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია**
2. **საფეხური: დოქტორანტურა**
3. **სწავლების ენა: ქართული**
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** თეოლოგიის დოქტორი
5. **დეტალური სფეროს კოდი: 0221 - რელიგია და თეოლოგია**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ცოტნე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ გაეცნო ანგარიშს და გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რათა მეთორმეტე რეკომენდაცია გადაემოწმებინა, რადგან სწორედ მე-12 რეკომენდაცია ითვალისწინებდა მთელ რიგ რეკომენდაციებს. ის გულისხმობდა წინა აკრედიტაციის პერიოდში მიღებული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებას. დადარების საფუძველზე დაწესებულებამ გაითვალისწინა მე-2, მე-5, მე-6, მე-7 და მე-11 რეკომენდაციები; მეტწილად შესრულდა მე-3; ნაწილობრივ - მე-4, ხოლო პირველი, მერვე, მეცხრე და მეათე რეკომენდაციების გათვალისწინება არ მომხდარა. რაც შეეხება მე-12 რეკომენდაციას, ის თავის თავში აერთიანებს წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებულ 20 რეკომენდაციას, საიდანაც გათვალისწინებულია მე-2, მე-6, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-16 და მე-19 რეკომენდაციები. მეტწილად შესრულდა მე-5 და მე-7, ნაწილობრივ მე-4. მათარ გაითვალისწინეს 1-ლი, მე-3, მე-8, მე-15, მე-17, მე-18 და მე-20 რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, მთლიანობაში მე-12 რეკომენდაცია მეტწილად არის გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამას 2022 წელს მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და განესაზღვრა 20 რეკომენდაცია. უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, მზადაა, რომ გაითვალისწინოს ყველა რეკომენდაცია. 2024 წელს დაწესებულებამ წარმოადგინა რეაკრედიტაციაზე პროგრამა, სადაც დაწესებულების აზრით, შესრულდა 19 რეკომენდაცია და არ გაითვალისწინა მხოლოდ ერთი. 2024-ში პირველი და მეხუთე იყო სრულ შესაბამისობაში; მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი კი იყო მეტწილ შესაბამისობაში. განისაზღვრა 11 რეკომენდაცია და უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაციებიც შესრულდა, თუმცა ექსპერტი მიიჩნვს, რომ რამდენიმე რეკომენდაცია არ არის შესრულებული. 1.1 რეკომენდაციის თანახმად რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა და შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. ექსპერტი აღნიშნავს, რომ სადისერტაციო ნაშრომში ჩანს შეცვლილი თემების დასახელება, თუმცა ეს პროგრამის ინტერდისციპლინარული განვითარებისთვის საკმარისი არ არის. ასევე, გაურკვეველია თუ რა მიზნით განთავსდა რეკომენდაცია პირველი შესრულების მტკიცებულებებში 2024 წლამდე დაცული დისერტაციის ჩამონათვალი, რაც პროგრამის განვითარებაზე არ მეტყველებს. პროგრამას აქვს ინტერდისციპლინურის გარკვეული დონე, თუმცა მნიშვნელოვანია მის გაძლიერებაზე ზრუნვა. 2024 წლამდე დაცული დისერტაციის ჩამონათვალი იმიტომ არის წარმოდგენილი, რომ თვალსაჩინო გახდეს ზრუნვა ინტერდისციპლინურზე 2024 წლამდეც და მას შემდეგაც. დამტკიცებული ყველა თემა არის ინტერდისციპლინური. სწორედ ამ კუთხით განვითარების მიზნით არიან პროგრამაში ჩართულნი თეოლოგების გარდა ისტორიკოსები, ლიტერატორები, ფოლკლორისტები. 4.1 რეკომენდაციაში აღნიშნულია, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში დასაქმებულია თოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე მცირე რაოდენობის პერსონალი, რეკომენდებულია, მეტი აფილირებული

პერსონალის ყოლა, რომელებიც გათვალისწინებულნი იქნებიან აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელებად. დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2025წლის ივნისში უნივერსიტეტმა აფილირების ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევართან, რომელიც, ასევე გათვალისწინებულია დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელად. სამწუხაროდ, დაწესებულების ეს ნაბიჯი ვერ ჩაითვლება რეკომენდაციის შესრულებად, რადგან ექსპერტმა პროგრამის შეფასებისას პრობლემად მიიჩნია აფილირებულ პერსონალს შორის ღვთისმეტყველთა სიმძიმე. შესაბამისად, აფილირებულ პერსონალთა ზრდის სტრატეგიაში ხარვეზია. მიღებული პერსონალი უფრო მეტად ისტორიკოსია, ვიდრე ღვთისმეტყველი. ამავე დროს, ერთ-ერთი რეკომენდაციის დასკვნაში ექსპერტი აღნიშნავს: პროგრამის ინტერდისციპლინურობის გაძლიერებისათვის განსხვავებული დისციპლინებიდან პროფესორთა ხელმძღვანელობაში ჩართვა კარგი პრაქტიკაა. რაც ერთ-ერთ რეკომენდაციაში ექსპერტის მიერ არის დადებითად შეფასებული, 4.1 რეკომენდაციაში ხარვეზად არის გამოტანილი. ასევე, 2024 წელს გაცემულ მე-14 რეკომენდაციაში ექსპერტი წერს, რომ დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმა იტორიის დოქტორის ხარისხის მქონე ერთ პროფესორთან და რეკომენდაცია შესრულებული იყო. დაწესებულების აზრით, ეს ყოველივე არის ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებები. 4.1 რეკომენდაციის მეორე ნაწილში ექსპერტი ეხება იმას, რომ რეკომენდებულია მეტი აფილირებული პერსონალის აყვანა, რომლებიც ასევე გათვალისწინებული იქნებიან აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელებად. აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელია აფილირებული პროფესორი, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი მამა ლევან მათეშვილი, რომელიც საკმაოდ კომპეტენტურია დარგში. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება იმ ზარს, რომ პროგრამის ხელმძღვანელად სხვა უნდა იყოს მოაზრებული. პროგრამაზე სულ სწავლობს 5 დოქტორანტი, აქედან 3 არის პირველკურსელი და 2 მესამე კურსელი. მათი ხელმძღვანელები არიან თეოლოგიის დოქტორები, აფილირებული პროფესორები მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე და დეკანოზი მერაბ თუთიშვილი. რეგულაციების მიხედვით პროფესორს 3 დოქტორანტის ყოლის უფლება აქვთ. ამ ეტაპზე პროგრამა მილევად რეჟიმშია და პროფესორთა დამატების საჭიროება არ არსებობს, თუმცა 5 აფილირებული პროფესორია პროგრამის განმახორციელებლად. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. 2.1 რეკომენდაციაში რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამაზე დაშვების უფრო ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს რამდენი კრედიტია საჭირო თეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ კურსებში პროგრამაზე მისაღებად. ექსპერტი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა დოკუმენტი წარმოდგენილია პროექტის სახით და არ არის დადასტურებული შესაბამისი ოქმით. ექსპერტის მიერ საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის შედეგად დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან, თუმცა მასში ასახული არ არის კვლევითი პროექტის შეფასების დეტალური კრიტერიუმების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიღებული წერილის მიხედვით ექსპერტი მოითხოვდა წარედგინა პროგრამაზე მიღების ახალი დეტალური კრიტერიუმების დამადასტურებელი ოქმი, ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდაპროგრამაზე მიღება. ანუ ექსპერტმა მოითხოვა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შეცვლის დოკუმენტი, შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგინა დაწესებულებამ. ხოლო კვლევითი პროექტი შესრულებულია და წარმოდგენილია მე-4 დანართში. 2.4 რეკომენდაცია დასკვნის მიხედვით ნაწილობრივ შესრულებულია. რეკომენდებულია სადოქტორო დისერტაციის დაცვის კომისიაში ჩართული თეოლოგების რაოდენობის გაზრდა, ასევე უზრუნველყოფა, რომ რეცენზენტები, რომლებიც აფასებენ კვლევას თეოლოგიის სფეროში, იყვნენ დარგის ექსპერტები. დასკვნაში ექსპერტი აღნიშნავს, რომ ცნობილი თეოლოგების ნაწილი, რომლებსაც რეკომენდაციის შესრულების აღწერით ნაწილში ახსენებს უნივერსიტეტი, არ არის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის ნაწილი. ხოლო

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დისერტაციის დაცვის ბრძანებებში, სადაც ნახსენები თეოლოგები შეფასების კომისიაში არიან შესულნი, მათი ხელმოწერები არ ფიქსირდება. მტკიცებულებით ნაწილში წარმოდგენილია რექტორის რამდენიმე ბრძანება დისერტაციის დაცვის კოლეგიის შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტს მოწვეული ჰყავს ცნობილი თეოლოგები. ასევე, ექსპერტი აღნიშნავს, რომ აღნიშნული თეოლოგები არ არიან აფილირებული პერსონალის ნაწილი. რეკომენდაცია იყო ჩართული თეოლოგების გაზრდა და მოწვევა, არა აფილირებული თეოლოგების გაზრდა. რეცენზენტები, რომლებიც აფასებენ კოლეგიას თეოლოგიის სფეროში არიან დარგის ექსპერტები, შესაბამისად ეს რეკომენდაციაც შესრულებულია. 3.2 რეკომენდაცია დასკვნის მიხედვით არ არის შესრულებული. რეკომენდებულია, ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ სტუდენტების აკადემიური წერის მიმართულებით აუცილებელი ცოდნით და უნარებით აღჭურვაზე, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის და სამეცნიერო სტატიების მომზადების სტრუქტურაზე და სახელმძღვანელო პრინციპებზე. პროგრამის მომზადების ფარგლებში ისწავლება სასწავლო კურსი სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, რომლის მიზანია დოქტორანტს შეასწავლოს ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, კვლევითი სამეცნიერო ტექსტის წერა, წერის დაგეგმვა, წერისა და ფორმატირების ტექნიკის ათვისება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ექპერტი დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ პრობლემა გამოიკვეთა სტუდენტებთან ექსპერტების უშუალო კომუნიკაციისას. შესაბამისად უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია. 4.3 რეკომენდაციაში რეკომენდებულია, პერსონალის პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობები, ასევე პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის კონფერენციები, სემინარები, ლექციები და საზღვარგარეთ კვლევის შესაძლებლობები, ტრენინგები და ა.შ. აღირიცხოს და აისახოს პერსონალის პირად საქმეებში ან პროგრამის ვებ-გვერდზე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შედეგებზე ხელმისაწვდომობა. დასკვნაში ექსპერტი აღნიშნავს, რომ პროგრამამ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გაიარა გარკვეული ტრენინგი, რახ ასახულია მათ პირად საქმეებში. ამასთან აღინიშნა, რომ ვერ მოიძია ექსპერტმა აღნიშნული ინფორმაცია, რაც ურთიერთგამომრიცხავია. ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ სასურველია, უმაღლეს სასწავლებელს შემოეთავაზებინა მექანიზმი აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად და არა მხოლოდ ერთი აქტივობის დემონსტრირება მოეხდინა. ამ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ დაწესებულება გააგრძელებს პერსონალის აქტიურ აღწერას, თუმცა ეს პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი არგუმენტი ვერ იქნება. ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიურ პერსონალთა/მასწავლებელთა განვითარების ცენტრი, სადაც უნივერსიტეტის პერსონალი სისტემატურად გადის საჭირო ტრენინგებს და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გაიარა 2025 წლის 20 ნოემბერს ტრენინგი, სადაც არის 7 საკითხი სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდების საუნივერსიტეტო განათლება და არის უამრავი საკითხი და უამრავი მოდული. მტკიცებულება წარმოდგენილია მერვე დანართში, ხოლო CV-ებში წარმოდგენილია გამოქვეყნებული ნაშრომები და კონფერენციებში მონაწილეობა. ეს გახლდათ 2024 წლის რეკომენდაციები და მე-12 რეკომენდაცია ეხებოდა 2022 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, თუმცა უნივერსოტეტი მიიჩნევს, რომ 2024 წელსაც ყველა რეკომენდაცია ჰქონდა შესრულებული დაწესებულებას და ახლაც. პირველი რეკომენდაცია იყო ის, რომ პროგრამამ უნდა აღმოფხვრას არათანმიმდევრულობა, მისი მიზნების ზოგად აღწერასა და სადოქტორო პროგრამის გაცილებით უფრო კონკრეტულ აღწერას შორის, ეს უკანასკნელი უნდა იყოს წამყვანი პროგრამის მიზნების ზოგადი აღწერისათვის, რათა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამისა და სწავლის კურსების შინაარსი. დასკვნაში აღნიშნულია, რომ რეკომენდაციის შესრულების მიზნით შესრულდა პროგრამის მიზანი და აღწერა, თუმცა რეკომენდაციას ვერ ჩავთვლით შესრულებულად შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე, კერძოდ, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები არ არის საკმარისად მკაცრი პროგრამისთვის. გაუგებარია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი შეესაბამება თუ არა სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციას, თუ მხოლოდ გათანაბრებულ

ხარისხს ითხოვენ ნებისმიერ დარგში, პროგრამაზე დაშვების მეტნაკლებად სუსტი მოხვედრის შედეგად შესაძლოა, სტუდენტებმა ვერ დაასრულონ საკუთარი დისერტაციები 3 წელიწადში, რამეთუ მათ აკლიათ საკმარისი ცოდნა და უნარები. 2024 წელს დაშვების წინაპირობა უკვე შეზღუდული ჰქონდა დაწესებულებას და სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სწავლების სფეროს კლასიფიკატორის ფართო სფეროს 01, 02, 03, 04 კოდის მქონე აპლიკანტებს. მეორე რეკომენდაცია - ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ პროგრამამ შეიმუშავოს მასზე დაშვების მეტად ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი თეოლოგიაში. კერძოდ, პროგრამაში უნდა იყოს მითითებული თუ თეოლოგიისა და მეთოდოლოგიური კურსების რამდენი კრედიტი არის საჭირო, რომ სტუდენტი დაიშვას პროგრამაზე. რეკომენდაციის პირველი ნაწილი შესრულებულია, რადგან შეზღუდულია დაშვების წინაპირობა, რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, რომელიც გაიცა 2022 წელს პირობითი აკრედიტაციის დროს, ეს რეკომენდაციაც არ შესრულდა, თუმცა 2024 წლის 27 დეკემბერს კვლავ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა საბჭომ არ მიიჩნია რელევანტურად, არ გაითვალისწინა და ამოიღო რეკომენდაციებიდან. შესაბამისად, დაწესებულებამ აღარ გაითვალისწინა გადაწყვეტილება 47338-ე გადაწყვეტილების საფუძველზე წინა რეკომენდაცია უკვე გაქარწყლებული იყო და აღარ ჰქონდა ვალდებულება დაწესებულებას აღნიშნულის შესრულებისა. მეოთხე რეკომენდაცია: „დაწესებულებამ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ სულ მცირე ერთ საერთაშორისო კონფერენციაში, ფორუმში ან სიმპოზიუმში მიიღოს მონაწილეობა დოქტორანტმა“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის განახლებული დებულების ვერსიის შესაბამისად, დოქტორანტს ვალდებულება აქვს შეასრულოს აღნიშნული რეკომენდაცია და ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია უკვე შესრულებულია. მეთხუთმეტე რეკომენდაცია - რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მათი მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა. აღინიშნა, რომ სავალდებულო ლიტერატურა განახლდა სასწავლო კურსებში. ამიტომ, ეს რეკომენდაციაც შესრულებულია. მეთვრამეტე რეკომენდაცია- პერიოდულად უნდა ჩატარდეს კოლეგიალური განხილვა ადგილობრივი და უცხოელი კოლეგების მიერ გარე განვითარების მიზნით. დასკვნაში აღნიშნულია, რომ უსდ-ს თანახმად პროგრამაში ჩართული პერსონალი მუდმივად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, აღნიშნულის მოწმობად კი მოაქვს ძველი ქათული ენისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გამკაცრების წესები, რაც აკრედიტაციის წინა ექსპერტების რეკომენდაციების ნაწილია და წინა დოკუმენტში ცხადად იკითხება. ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა ერთ-ერთი უსდ-სგარე შეფასება, უთარიღოდ ხელმოწერილია და ემთხვევა წინა აკრედიტაციაზე წარმოდგენილ დოკუმენტს. ექსპერტი თავად აღნიშნავს, რომ გარე შეფასება წინა აკრედიტაციის დროსაც ჰქონდა დაწესებულებას და რატომ გაიცია ისევ ეს რეკომენდაცია გაურკვეველია. თვითშეფასების ანგარიშში 27-28-ე გვერძე მოცემული რეკომენდაციის პასუხად არის ჩანაწერი უსდ-ს მხრიდან - პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი იყენებს გარე ხარისხის შეფასებას პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის პროექტი განსახილველად გადაცემული ჰქონდათ დამსაქმებლებს, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ტელევიზია ერთსულოვნება, საქართველოს საპატრიარქოს რადიორელიგიას, მედიაკავშირ ობიექტივს, ქუთაისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას, ასევე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, თეოლოგიის დოქტორს, პროფესორს გოჩა ბარნოვს. მიღებული პროგრამის დადებითი შეფასებები. საქართველოს ეროვნული ტელევიზიის ერთსულოვნების აზრით, პროგრამას უნდა დამატებოდა ძველი ქართული ენა, რაცგაითვალისიწინა დაწესებულებამ. ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის წარმომადგენელმა გვირჩია დაშვების წინაპირობის შეცვლა, რაც დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულ იქნა. მტკიცებულებები წარმოდგენილია დანართ სამში და პროგრამის გარე შეფასება წარმოდგენილია მეცამეტე დანართში. მეოცე რეკომენდაცია - უნდა ჩატარდეს სამიზნე ნიშნულებთან შედარება და სადოქტორო პროგრამა პერიოდულად უნდა

შედარდეს უცხოურ უნივერსიტეტებში არსებულმსგავს პროგრამებთან. დაწესებულებამ როგორც აღიქვა, საუბარია როგორც სამიზნე ნიშნულების დადარებაზე, ასევე უცხოურ მსგავს პროგრამებთან დადარებაზე, თუმცა ექსპერტი აღნიშნავს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანალიზის ხელმოწერილი უთარიღო დოკუმენტი იდენტურია წინა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი მასალისა, წარმოდგენილი ანალიზი ზედაპირულია და შემოიფარგლება მხოლოდ პროგრამის სტრუქტურის ზოგადი მიმოხილვით. მასში არ არის გაანალიზებული სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტის შინაარსობრივი მხარე. გარდა ამისა, წინა აკრედიტაციის პერიოდში წარმოდგენილი სილაბუსებისებისა და მათი უახლესი ვერსიების დადარების შედეგად, სასწავლო კურსების ძირითადი შინაარსის მოდიფიცირება არ იკვეთება. ამ ჩანაწერიდან იკითხება აბსოლუტურად სხვა რამ, რეკომენდაციაში საუბარი არ იყო სასწავლო კურსის პროგრამების სილაბუსების მოდიფიცირებაზე, ხოლო სამიზნე ნიშნულებთან დადარება და სადოქტორო ანალოგ პროგრამებთან დადარება დაწესებულებას გაკეთებული აქვს. ექპსერტი აღნიშნავს, რომ ეს წინა აკრედიტაციის პერიოდშიც ჰქონდა დაწესებულებას გაკეთებული. სამიზნე ნიშნულებთან დადარება ხდება ყოველი წლის ბოლოს და მზადდება სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია მესამე დანართში. ანგარიში თარიღდება 2024-25 სასწავლო წლებით და ძველი ვერ იქნება, რადგან შეტანილია ძველი ქართული ენის ანალიზის ანგარიშიც, რომელიც წინა წლებში არ ჰქონდა პროგრამას. რაც შეეხება უცხოურ უნივერსიტეტში არსებულ მსგავს პროგრამებს, დადარება გაკეთებულია და წარმოდგენილია მეცამეტე დანართში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით,ექსპერტი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ანალიზი ზედაპირულია და შემოიფარგლება პროგრამის სტრუქტურის ზოგადი მიმოხილვით, მასში არ არის გაანალიზებული სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტის შინაარსობრივი მხარე. პროგრამის დადარებისას სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების შინაარსობრივ მხარეზე, ცხადია, ყურადღებას არ ამახვილებს დაწესებულება და აღნიშნავს, რომანალოგი პროგრამის დადარებისას აქცენტირება ხდება მხოლოდ პროგრამის სტრუქტურაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

თეა მჭდლურმა ექსპერტს მიმართა კითხვით. 2.1 რეკომენდაციაში რეკომენდებულია, შემუშავდეს და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცდეს პროგრამაზე მიღების საჭირო კვლევითი პროექტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნამდვილად წარმოდგენილია კვლევითი პროექტის შეფასების ფორმა, რომელიც წარმოადგენს დამტკიცებული სადოქტორო დებულების განუყოფელ ნაწილს. როგორც ჩანს, კვლევით პროექტზე ხელმოწერაში არის პრობლემა და მას აინტერესებდა ექსპერტის პოზიცია ამასთან დაკავშირებით, რატომ შეიძლება არ ჩაითვალოს აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად, ვინაიდან მოქმედი ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად, კვლევითი პროექტი დებულების დანართია და დამოუკიდებელ ხელმოწერას არ საჭიროებს.

ცოტნე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ის 2022 წლის აკრედიტაციაზეც იყო ექსპერტთა კომისიის წევრი, როდესაც დაწესებულებამ პირობითი აკრედიტაცია მიიღო ამ პროგრამაზე.კვლევით პროექტთან დაკავშირებით ზუსტად ის შენიშვნა ჰქონდათ ექსპერტებს მაშინ, რაც ახლაც გამოითქვა. მაშინაც და ახლაც ექსპერტმა რომ მოითხოვა შეფასების კრიტერიუმები, დაწესებულებამ წარადგინა გარკვეული PDF ფაილი. აქ საუბარი არ იყო იმაზე, რომ დოკუმენტი პირობითად სამად არის დასათაურებული. არანაირი სათაური მას არ აქვს, გარდა იმისა, რომ არის კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გააკეთოს დაწესებულებამ და ეს დოკუმენტი დამტკიცებული სახით არ იყო წარმოდგენილი. დაწესებულებამ გამოაგზავნა დაკუმენტი, სადაც ეწერა, რომ შეზღუდეს მიღების წინაპირობები, რაც უკვე ცნობილი იყო ექსპერტებისთვის. ექსპერტმა დაამატა, რომ, ამ კვლევითი პროექტის

შეფასების კრიტერიუმებზე საუბარი არსად არ იყო, ეს დოკუმენტი არც ფაკულტეტის საბჭოზე არ გახლდათ დამტკიცებული და არც გარკვეული სამართლებრივი დოკუმენტის ნაწილად არ იყო წარმოდგენილი. ეს იყო პდფ ფაილის სამუშაო ვერსია.
ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ იკითხა, თუ რას ნიშნავდა დამატებითი დოკუმენტი, თუმცა იქ კვლევით საკითხზე საუბარი არ ყოფილა თორემ აუცილებლად წარმოადგენდა კვლევითი პროექტის დამტკიცებულ დოკუმენტს.
ცოტნე ჩხეიძემ გაიმეორა, რომ მას კარგად ახსოვს რა პრობლემაც იყო მაშინ (წინა აკრედიტაციის დროს), ფაქტობრივად ეს დოკუმენტი შედგენილი არ იყო და რაც დაწესებულებამ მაშინ წარმოადგინა, ექსპერტებმა ვერ გაიგეს პდფ ფაილი რისი ნაწილი იყო ან სად იყო დამტკიცებული.
ცოტნე ჩხეიძემ პროგრამის ინტერდისციპლინურობის გაძლიერების რეკომენდაციასთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი იყო აღწერა იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა თავისთავად არის ინტერდისციპლინური. ეს რეკომენდაცია არა მხოლოდ ექსპერტებმა გასცეს, არამედ გადასულია გადაწყვეტილებაში, შესაბამისად ეს არის შესასრულებელი რეკომენდაცია და სწორედ ამ რეკომენდაციის შესრულება/არშესრულება ფასდებოდა მის მიერ ამჟამად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ამ კუთხით არანაირი გადადგმული ნაბიჯი არ არის, ანგარიშში მხოლოდ რეკომენდაცის შესრულების აღწერაზე იყო საუბარი როგორი ინტერდისციპლინურია თავისთავად ეკლესიის ისტორიის პროგრამა ზოგადად. ინტერდისციპლინურობის გაზრდა არ ხდება კიდევ ერთი ეკლესიის ისტორიის მკვლევარის ჩართვით, რადგან ისედაც ძალიან ბევრი ეკლესიის ისტორიის მკვლევარია ჩართული და თუ ინტერდისციპლინურობის გაზრდაზეა საუბარი, ისევ ეკლესიის ისტორიის მკვლევარი კი არ უნდა ჩართოთ, არამედ ვთქვათ, სხვა სფეროდან. ამ რეკომენდაციის გაძლიერებისთვის გადადგმული ნაბიჯები სახეზე არ იყო. ის ფაქტი, რომ თქვენ 2024 წლამდე, ამ რეკომენდაციის გაცემამდე წარმოადგინეთ გარკვეული ნაშრომების დასახელებები, ეს ვერ მოახდენს იმაზე ზეგავლენას, რა ნაბიჯები გადადგით თქვენ. ექსპერტი განმარტავს, რომ ეს რეკომენდაცია იმიტომ გაიცა, რომ მისი აზრით, შესაძლებელია წინ წავიდეს პროგრამა. ექსპერტების მიზანი არ არის პროგრამის დაწუნება, არამედ ის, თუ რა ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს პროგრამის განვითარებისთვის და რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას. თვითშეფასების ანგარიში ნაკლებად თვითკრიტიკულია, რეკომენდაციის შესრულებასთან მიმართებით წარმოდგენილი იყო რომ, ეს პროგრამა ისედაც თავისთავად ინტერდისციპლინურია, როგორც ზოგადად ისტორიის ეკლესიის პროგრამა და არ აქვს მნიშვნელობა ქვეყნის რომელ კუთხეში დაინერგება.
რაც შეეხება პერსონალის გაზრდას, ცოტნე ჩხეიძე აღნიშნავს, რომ ჯამში იყო 12 ახალი რეკომენდაცია,რომელიც მოიცავდა კიდევ 20 ძველს. ზოგად ჭრილში პერსონალი იზრდება და ეს ცალსახაა, თუმცა თუ არის თეოლოგიის პროგრამა და ღვთისმეტყველის, თეოლოგიის დოქტორის ხარისხი ენიჭება სტუდენტს, რა თქმა უნდა, სტრატეგია არასწორია, რომ ისტორიის მიმართულებით იზრდება პერსონალი და არა თეოლოგიის. მითუმეტეს დებულებაში აღნიშნულია, რომ 11 ექსპერტი აფასებს დისერტაციას და ამ 11 ადამიანთა შორის ყოველთვის შეიმჩნეოდა ღვთისმეტყველთა სიმცირე. რაც შეეხება სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკას, სავსებით საკმარისია, თუმცა, სტუდენტებს გაუჭირდათ იმაზე ინფორმაციის მოწოდება ექსპერტთათვის თუ როგორ იმუშაონ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში. წარმოდგენილი სილაბუსი ზუსტად იგივე იყო, რაც წინა აკრედიტაციისას, ამიტომ რა ნაბიჯები გადაიდგა, რომ ეს პრობლემა გამოსწორებულიყო არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია.
ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ ერთადერთი რეკომენდაციის შესრულებაა აღნიშნული და ეს სწორედ ელექტრონულ ბაზებზე წვდომას ეხება.
ცოტნე ჩხეიძემ CV-ებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტრენინგები, რომლებიც უნდა ასახულიყო პირად საქმეებში დაწესებულების ანგარიშის თანახმად CV-ებშია შეტანილი ყველა ინფორმაცია, მაგრამ რაც იყო წარმოდგენილი, იქ ტრენინგები შეტანილი არ იყო. ის, რომ დაწესებულებამ, ტრენინგები და პროფესიული გადამზადებები შეიტანა პერსონალის პირად

საქმეში, ამის მტკიცებულებები არ არსებობს. შესაბამისად, ექსპერტი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს მოცემული რეკომენდაციის შესრულება. შემდეგი, მეთორმეტე რეკომენდაცია ითვალისწინებს იმას, რომ ყველა წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაცია უნდა შესრულდეს. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ის, რომ არამხოლოდ უნდა შემცირდეს გარკვეული სფეროები, საიდანაც მიიღებს დაწესებულება სტუდენტებს, არამედ იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ აქვთ თეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მათთვის უნდა შეიქმნას განსაკუთრებული პირობები. შესაძლოა ამ ადამიანებისთვის გარკვეული კურსებიც იყოს შემოტანილი პროგრამაზე, ან დადგინდეს ის საჭირო კრედიტები, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს ყველა თეოლოგმა. სხვა შემთხვევაში, რთულია სადოქტორო ნაშრომის შექმნა, რადგან დეტალური სფეროა და აუცილებელია პიროვნებას ამ სპეციფიურ დისციპლინაში ჰქონდეს თეოლოგიის გარკვეული სიღრმის ცოდნა როგორც თეორიული, ასევე მეთოდოლოგიური, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი თეოლოგიის საღვთისმეტყველო ნაშრომს ვერ დაწერს. ამას გვიჩვენებს არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა და ძალიან კარგი გამოცდილება გვაქვს ამასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ისაუბრა ასევე შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობასა და საერთაშორისო ბაზაზე არსებულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებაზე. ამ საკითხზედაწესებულებამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტი იღებს მონაწილეობას და საერთაშორისო ბაზებში ჩართულ ჟურნალებში ხდება სტატიების დაბეჭდვა. ექსპერტი განმარტავს, რომ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილების ვალდებულება სხვაა და ზოგადად კონფერენციებში მონაწილეობის მიღების ვალდებულება. ასევე, საერთაშორისო ბაზაში ინტეგრირებული ჟურნალში დაბეჭდვა სულ სხვაა და ეს გულისხმობს უცხოურ ენაზე სტატიების დაბეჭდვას და ექსპერტი განმარტავს, რომ დოქტორანტის მომავალი სამეცნიერო ზრდისთვის თუ გვინდა, რომ რამე გავაკეთოთ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი უცხოენოვანი კომპეტენციები გავზარდოთ და გარდა იმისა, რომ ინგლისურად დაიბეჭდება სტატია, ამას გაცილებით დიდი აპრობაცია ექნება საერთაშორისო დონეზე.

რაც შეეხება სილაბუსებს, რეკომენდაცია იყო გაცემული, რომ დაიხვეწოს სილაბუსები, უფრო მეტად გაძლიერდეს და მეტად გამოიკვეთოს, რომ ეს არის საღვთისმეტყველო თეოლოგიის სადოქტორო ხარისხის დონის სილაბუსები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მან დეტალურად შეადარა ერთმანეთს და თითქმის ერთი ერთში იგივეა, უბრალოდ შეცვლილია შეფასების კრიტერიუმები, რაც დიდ ცვლილებას არ იძლევა. რაც შეეხება გარე შეფასებას, აქაც იგივე დოკუმენტი იყო წარმოდგენილი, რაც წინა აკრედიტაციის დროს. აღნიშნული გახლდათ ზოგადი აღწერა და არ იყო ანალიზის დოკუმენტი.

ელიზბარ ელიზბარაშვილს აინტერესებდა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე რამდენად მარტივი იყო საერთაშორისო პუბლიკაციების გაკეთება დარგში ან რამდენად ხშირად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები.

ცოტნე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ ხშირად ტარდება კონფერენციები ამ მიმართულებით, რომელიც უშუალოდ დოქტორანტებს ეძღვნებათ და თავადაც იმყოფებოდა რუმინეთში ამ უახლოეს პერიოდში. აუცილებელი არაა დოქტორანტი საზღვარგარეთ წავიდეს კონფერენციაზე დასასწრებად. თუ დანერგავს დაწესებულება დოქტორანტებისთვის საერთაშორისო კონფერენციას, სადაც მოიწვევენ დარგის ექსპერტებს, მათ ნაკლები ხარჯითაც შეუძლიათ ამის გაკეთება. რაც შეეხება პუბლიკაციებს, უამრავი ჟურნალი არსებობს ფასიანიც და უფასოც, სადაც დოქტორანტებს შეუძლიათ განათავსონ სტატიები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პროფესიულად დაიხვეწოს სტუდენტი. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ის პასუხისმგებლობა, რასაც საერთაშორისო სტატიაზე მუშაობისას გრძნობს დოქტორანტი სულ სხვა დონეზე აყავს იგი და მისი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელია.

თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ როდესაც 2022 წელს ეს პროგრამა გამოვიდა რეკომენდაციებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი იმსჯელა საბჭომ. წინაპრობებთან დაკავშირებით მაშინ განისაზღვრა, რომ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი უნდა ჰქონდეს აპლიკანტს, მაგრამ ასევე

განსაზღვრულია, რომ უნდა განისაზღვროს თეოლოგიური და მეთოდოლოგიური კომპონენტების მინიმალური კრედიტების რაოდენობა. ანუ წინა პირობაში უნდა იყოს მითითებული რამდენი კრედიტი აქვს ათვისებული მაგისტრს, სანამ საბუთს შემოიტანს. მას აინტერესებდა, როგორ შეიძლება ჩაიწეროს ეს ყოველივე და რამდენი კრედიტი იქნება საკმარისი აპლიკანტის მისაღებად.
ცოტნე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის ავტორი იყო საერთაშორისო ექსპერტი, რომელსაც ქართველი ექსპერტები დაეთანხმნენ. პრაქტიკაში მასაც არ უნახავს მსგავსი, მისი აზრით უფრო მკაცრი წინაპირობების განსაზღვრა იყო საჭირო, მაგალითად გამოცდას გარკვეულ საგანში კონკრეტული მიმართულებით: ეკლესიის ისტორიაში, კანონიკურ სამართალში, დოგმატიკაში. ეს არის ძირითადად რაზეც შეიძლება გამოცდა ჩატარდეს. რაც შეეხება კრედიტებს, ამაზე ალბათ ბევრი ფიქრი დასჭირდებათ. ცოტნე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ აქ საუბარი იყო რომელიმე წინაპირობაზე, ან მიღების პირობების გამკაცრებაზე - გამოცდაზე, ან კრედიტების განსაზღვრაზე და არა ორივეზე ერთად.
თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ რომ დაცვის კოლეგიაში არასაკმარისი რაოდენობის სპეციალისტები (ღვთისმეტყველები) არიან შეყვანილები. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ცოტნე ჩხეიძის რეკომენდაციით მოიწვიეს და გააძლიერეს 11 ადამიანისგან შემდგარი კოლეგია, თუმცა, ცოტნე ჩხეიძემ აქვე უპასუხა, რომ მათ ისტორიის მიმართულებით მოიწვიეს და არა ღვთისმეტყველების მიმართულებით. უსდ-ს წარმომადგენელი ჩაერთო საუბარში და განმარტა, რომ ისტორიის მიმართულებით მიიღეს აფილირებული პროფესორი და მოწვეულები იყვნენ ღვთისმეტყველები რექტორის ბრძანებით.
თეა მჭედლურს აინტერესებდა, რომ თუ ეს პიროვნებები არ დაესწრნენ დაცვას, შესაბამისად ხელმოწერა ვერ იქნებოდა.
ცოტნე ჩხეიძე დაეთანხმა. თეა მჭედლურმა იკითხა არსებობდა თუ არა დამტკიცების ბრძანება. ცოტნე ჩხეიძემ განმარტა, რომ მას არ უნახავს ბრძანება, თუმცა ოფიციალური დოკუმენტი იყო, სადაც არსებობს ამ ადამიანების გრაფები, სადაც ხელი უნდა მოაწერონ. უსდ-ს წარმომადგენელი ჩაერთო საუბარში და თქვა, რომ მეხუთე დანართშია წარმოდგენილი ბრძანება.
ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა თუ დაცვას არ ესწრებოდა თეოლოგთა ნაწილი, მაშინ რა პროცედურები ტარდებოდა.
ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ 2/3 არ ესწრება დაცვას, ის გადაიდება.
თეა მჭედლურმა აღნიშნა, რომ კომისიის ვერც ერთ წევრს ვერ აიძულებ დაცვაზე მოსვლას.
ცოტნე ჩხეიძემ განმარტა, რომ ფაქტია, რომ ვერ აიძულებ კომისიის წევრებს დაცვაზე მოსვლას და სწორედ ამიტომ უნდა იყოს იმდენი აფილირებული პერსონალი, რომ არ იყოს დამოკიდებული სხვა უნივერსიტეტზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა ლევან მათეიშვილმა აღნიშნა, რომ თუ რაიმე პროგრამას შეიძლება შეადაროს დაწესებულებამ პროგრამა, ეს არის საერთაშორისო უნივერსიტეტები კემბრიჯი თუ ჰარვარდი, რომელიც ამ პროგრამაზე არა თუ მხოლოდ თეოლოგიის მაგისტრანტებს, არამედ ყველა ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენლებს იღებენ. მან განმარტა, რომ დაშვების წინაპირობებშიც შეირჩა მომიჯნავე სპეციალობები და არა სხვა. იგი თვლის, თუ ჯერ ბიოლოგის პროფესია აქვს ადამიანს და მერე თეოლოგი გახდება, ამით არაფერი შავდება. თუკი არის ფილოლოგი, ან ისტორიკოსი და ეკლესიის ისტორიაში იკვლევს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოების პერსონაჟს ან მოვლენას, ამ შემთხვევაში „ჩამკეტის“ არსებობა, რომ რადგან თეოლოგიის სამაგისტრო დიპლომი არ აქვს, აბსურდია. წამყვან უნივერსიტეტებში ამგვარი პრაქტიკა არ არსებობს, საუბარია ეკლესიის ისტორიაზე. ეკლესიის ისტორია არ გახლავთ თეოლოგიის ყველა მიმართულება. თვითონ დარგი თავის თავში მოიცავს ინტერდისციპლინარულობას. მან მაგალითად მოიყვანა დისერტაციები, რომლებზეც აღნიშნავს, რომ უნიკალურია და სხვა უნივერსიტეტები ვერ „დაიკვეხნიან“ იმით რაც მათ აქვთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:17
დასრულების დრო: 17:33

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.
საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაწესებულებას დაავალა მათი შესრულება მომავალი აკრედიტაციის პროცესისთვის.

მეცხრე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საზღვაო ნავიგაცია
2. საფეხური: ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა: ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს კოდი: 1041 - სატრანსპორტო მომსახურებები

მეათე საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საზღვაო ნავიგაცია
2. საფეხური: ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა: ინგლისური
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს კოდი: 1041 - სატრანსპორტო მომსახურებები

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეცხრე და მეათე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ნინო გორგოშაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ორივე პროგრამის აკრედიტაციის დროს გაიცა 3 რეკომენდაცია, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა, შეასრულა შესაბამისი ქმედებები მათ გამოსაკვლევად. რეკომენდაციები ეხებოდა პირველ სტანდარტს. რეკომენდირებული იყო სწავლის შედეგების ფრომულირება, ასევე სწავლის შედეგების დაკონკრეტება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ შეასრულა შესაბამისი სამუშაოები და სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა 3 ძირითად კატეგორიად, კერძოდ, ცოდნა, გაცნობიერება, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგებში ასახულიყო გემის სტაბილურობის, ტვირთისა და გემის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ასევე გაითვალისწინა დაწესებულებამ. მესამე რეკომენდაცია გაცემული იყო 1.4 ქვესტანდარტში საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან იყო დაკავშირებული. აქ რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რუქა გადამუშავებულიყო ისე, რომ თითოეულ სწავლის შედეგში ასახულიყო სამივე დონე გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების დონეზე. დაწესებულებამ გადაამუშავა პროგრამის სწავლის შედეგების რუქა, მასში მკაცრად და მკაფიოდ იყო წარმოდგენილი თითოეული სწავლის შედეგი სასწავლო კომპონენტთან შესაბამისობა. საბოლოო ჯამში, პროგრამამ აღმოფხვრა ხარვეზები და პროგრამა სრულ შესაბამისობაშია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
გიორგი გაბედავამ აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2025 წლის 7 ნოემბერს, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით, რადგან ეს იყო ძირითადად ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები. დაწესებულება არ დაელოდა ვადის ამოწურვას და წინასწარ წარმოადგინა დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს კითხვები არ ჰქონია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:40
დასრულების დრო: 17:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეთერთმეტე საკითხი: "შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის #1755828 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა
ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფრმაციით, "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა სახელწოდება. შესაბამისად, ამ სახელწოდების ცვლილებაზე დადასტურება უნდა გააკეთოს აკრედიტაციის საბჭომ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2025 წლის დეკემბერში. შემდეგ 180 კრედიტიან პროგრამაზე მოხდა ანგარიშის წარდგენა პირველ მაისამდე. თუმცა შემდეგ იყო გადაწყვეტილება მიღებული პროგრამის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულების მიზანია, საერთო თანამშრომლობის გაძლიერება, საერთო პროგრამების წარმოება და სხვა.

მალხაზ ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ ინფორმატიკა აღიქმება მოძველებულ ტექნიკასთან. ხელოვნური ინტელექტი პროგრამაში ინტეგრირებულია და შინაარსი შეცვლას არ საჭიროებს.
ნატა ბაჯიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და მათ შორის მუშაობს ერთობლივ პროგრამაზე ბეჯეს უნივერსიტეტთან და წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ იმ კუთხით, რომ ინფორმატიკის ნაწილი დისკომფორტს ქმნის საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშომლობის ნაწილში, პლუს კვლევით ნაწილში დაწესებულება მათთან აქტიურად თანამშრომლობს და ციფრული ტექნოლოგიები უფრო ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ბაზარზე, ამიტომ წამოიჭრა საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მოხმარების დონეზე იყენებს ხელოვნურ ინტელექტს და პროგრამაში 4 კრედიტი აქვს მას თეორიულ ნაწულში დათმობილი, რაც ვერ უზრუნველყოფს ვერც ენის კომპეტენციას, ვერც ნეირონულ ქსელებს და ა.შ.
ნატა ბაჯიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდებაა ციფრული ტექნოლოგიები, რომელსაც ემატება ხელოვნური ინტელექტი. ძირითად ბადეში ხელოვნური ინტელექტის ერთი საგანია წარმოდგენილი, თუმცა არჩევით საგნებში საკმაოდ დიდი რაოდენობაა ხელოვნური ინტელექტის საგნებისა.
ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც სათაურშია წარმოდგენილი ხელოვნური ინტელექტი სხვა ასოციაციას იწვევს და გამოყენების დონისთვის ის სათაურში არ უნდა იყოს წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:56
დასრულების დრო: 18:35

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოსათვის მნიშვნელოვანი იყო პროგრამის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, დეტალების დაზუსტების გზით დამატებითი შეჯერება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის („ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი (AI)”) სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხი საბჭომ გადადო 21 მაისის აკრედიტაციის საბჭოზე განსახილველად.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე